

ფრთხილად, ტელევიზორი!

ღმერთმა ადამიანი თავის ხატად შექმნა, მაგრამ ცოდვების გამო ადამიანი დაშორდა ღმრთის ხატებას, სულიერ სრულყოფილებას. ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების მთავარი მიზანი ხომ სულის ცხონებაზე ზრუნვაა, ამისთის კი ღმრთის მცნებებით უნდა ვიცხოვოთ. ეს მცნებები გადმოცემულია წმინდა წერილში – სახარებაში, იგი თავად განკაცებულმა ღმერთმა, იგსო ქრისტემ ასწავლა მოციქულებს და მათი საშუალებით მთელ კაცობრიობას. ამ სწავლებას მართლმადიდებლობა ეწოდება და მის გარეშე სულის ცხონება შეუძლებელია.

ღმერთმა დაგვისახა ცხონების, მასთან მიახლოების გზა, ადამიანი კი სულ უფრო და უფრო შორდება ღმერთს. ადამიანის ღვთისგან განდგომილებაში მნიშვნელოვან როლს ტელევიზორიც თამაშობს. რა თქმა უნდა, ჩვენ არ უარვყოფთ ტელევიზორის, როგორც ტექნიკური საშუალების მნიშვნელობას, მაგრამ მთავარია, თუ როგორ გამოიყენება დღეს ტელევიზორი და ტელევიზა.

პირველივე, რაც უნდა ითქვას, არის ის, რომ დღეს ტელევიზით თითქმის არ იქადაგება ჭეშმარიტება, ღვთის მცნებებით ცხოვრების წესი, ზნეობრიობა. პირიქით, მისი ეკრანებიდან იღვრება უზნება, სიმა-მრუშობა, ძალადობა, ნარჯომნია, სადიზმი, ქუდობა და ათასი სხვა ბოროტება. ტელევიზორის ეკრანი იქცა იმ მორღვეულ კარად, რომლიდანაც ჩვენს ოჯახებში ყოველდღიურად შემოდიან უზნეო, ბოროტი ადამიანები, ფანტასტთა მიერ გამოგონილი მოჩვენებები თუ უცხოპლანეტელები, მკვლელები და სადისტები, შემოდიან დაუკაცუნებლად, ისადგურებენ ჩვენ ოჯახებში, დევნიან კეთილ ანგელოზებს, ჩვენს წმინდა წინაპართა სულებს. ტელევიზორი განსაკუთრებით საშიშია მოზარდი თაობისათვის, როგორც თოვინას დაგვატარებს, მაგრამ, მაგრამ,

დაფას წააგავს. ეს დაფები კი ეკრანიდან გადმოსულმა ბოროტმა ადამიანებმა იგდეს ხელთ, იგდეს და მათზე საშინელ სურათებს ხატავნენ.

ტელევიზორებიდან მოედინება ინფორმაციის უკონტროლო ნაკადი, ჩვენ ვერ ვასწრებთ მის გადამუშავებას, გაფილტრვას, ნედლ მასალად ვითვისებთ, ვითვისებთ მხოლოდ უმდაბლესი, მექანიკური მეხსიერებით, იგი იღექმება ჩვენს კონტენტის, ცნობიერებაში, ქვეცნობიერებაში. ადამიანი სულ უფრო ცოტას მუშაობს ინტელექტუალურად, არ იკვლევს, არ ეძიებს, ტელევიზორი მას მზა ფორმულებს, მზა სისტემებსა და თეორიებს აწვდის. ეს იწვევს ჩვენს გონიერივ დეგრადაციას, ინდივიდუალობის დაკარგვას, ტელესტრუეოტიპები ცვლიან საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ადათ-წესებსა და წეს-ჩვეულებებს, ეროვნულ ნიშნებსა და თავისებურებებს, ადამიანები ერთმანეთს ემსგავსებიან, მათი პირით ტელევიზიის დემონი ლაპარაკობს. ტელევიზორს კაცობრიობა არა სულიერი სიყვარულის ერთობისაკენ, არამედ ერთსახოვნების ერთობისაკენ მიჰყავს, ულმერთო, უსიყვარულო, ერთმანეთთან გაუცხოებულ, უინტელექტო, უკულტური და უგემოვნო საზოგადოებისაკენ მიაქანებს.

ბიბლიაში ადამიანს მეტყველი არსება ეწოდება, რომელიც სიტყვებით აზროვნებს. ტელევიზორის ზემოქმედებით კი ადამიანი იწყებს წარმოსახვებით აზროვნებას. ტელევიზორისა ჩვენში აღზარდა ვნებები, ზმანებები და წარმოდგენები, რომლებიც ჩვენდა დაუკითხავად გვეწვევიან ხოლმე, წარმართავენ ჩვენს ქცევას, ჩვენს აზროვნებას, ჩვენს ურთიერთობებს ადამიანებთან, ბუნებასთან. ტელესტრუეოტიპების გამო ჩვენ გავხდით სასტიკნი, სიყვარულმოკლებულები, ეგოისტები, ტელევიზორის საშუალებით ჩვენ სხვა გვმართავს, ტელევიზორის საშუალებით ჩვენ სხვა გვმართავს, ტელევიზორის საშუალებით ჩვენ სხვა გვმართავს, მაგრამ, მაგრამ,

საუბედუროდ, არა ღმრთისკენ მოივყავართ, არამედ გვაშორებს მას.

ტელევიზორმა ჩვენ შეგვაჩვა ბოროტებას, ამის გამო სიძვა-მრუშობას, ძალადობას, ნარკომანიას, ათასგვარ გარყენილებას საშინელ ცოდვად ვეღარ აღვიქვამთ, ბოროტებას შეეჩვა ჩვენი თვალი, ჩვენი ყური, ტელევიზორის მეხსიერებზე გათამაშებულ სიუჟეტებში ჩვენ ხშირად თანავუგრძნობთ ქურდებს, განვასტერებს, მკვლელებს, გარყვნილ ადამიანებს, ჩვენი მეგობრები ხდებიან ჯადოქრები, მაგები, ღმრთის მგმობელები. ჩვენ გვატყუებენ, რომ არსებობენ კეთილი და ბოროტი ჯადოქრი, თეორი და შავი მაგი. სინამდვილეში ორივე დემონური ძალების გამოვლინებაა და მხოლოდ ჩვენს საცდუნებლად ირგებს ეშმაკი ხან კეთილის ხან ბოროტის ნიღაბს.

ტელევიზორი საზოგადოებაში ანტიქრისტიანული ცნობიერების დამკვიდრებას უწყობს ხელს. ნიშანდობლივია, რომ მან - როგორც პირდაპირი, ისე გადატანით მნიშვნელობით, ჩვენს ოჯახში ის კუთხე დაკავა, რომელშიც აღრე ხატები გვქონდა დაბრძანებული და ვლოცულობდით. ტელევიზორიდან ადამიანი ერთ დღეში იძღენ შთაბეჭდილებას იღებს, რამდენსაც აღრე ერთი თვის გამნავლობაში დებულობდა. ტელევიზორის წყალობით ნერვიულად და ფსიქიურად გადატვირთულმა ადამიანშა დაკარგა ყურადღებიანობა, გონებამოკრებილობა, რაც აუცილებელია ლოცვისათვის. ადამიანმა დაკარგა ყველაზე მთავარი – ლოცვა, ლოცვა ხომ ღმრთთან საუბარია, და თუკი ის მაინც იწყებს ლოცვას, ლოცულობს გონებაგაფანტულად, ზერელედ, ღმრთთან საუბარში მას ტელეპერსონაჟები უშლიან ხელს, თვალწინ უხამსი ტელევიზორები წარმოუდგება, ყურში ღმრთისმგმობი სიტყვები ჩაესმის, ეძალება ვნებები, უხამსი გრძნობები.

ტელევიზორის გამო დაიკარგა ოჯახური ერთობა. თუკი აღრე ერთად შეკრებილი ოჯახი ერთად კითხულობდა წიგნს, მშობლები შვილებს ესაუბრებოდნენ, ასწავლიდნენ, ოჯახურ ტრადიციებს გადასცემდნენ. ახლა ტელევიზორია მათი მასწავლებელი. ტელეკრანების წინ ერთად მსხლომნი უბრად არიან, თავის თავში ჩაკეტილები, თავის წარმოდგენებში, თავის განცდებში ჩაფლულნ, ოჯახი გათითოცალებულია, დანაწერებულია.

კიდევ მრავალი ხითათი და საცდური სდევს თან ტელევიზორს. მიტომ მშობლები უნდა ეცადონ, რომ აკონტროლონ შვილების ტელევიზორით გატაცება. მაგრამ როგორ დაუკერებს შვილი იმ მშობელს, რომელიც თავად რეგულარულად უყურებს უხამს გადაცემებს? მეტად დამანგრეველია, როდესაც მშობლები და შვილები ერთად შესცერიან უმსგავსო ფილმებსა და გადაცემებს, გარუყნილებასა და ძალადობას. ასეთი გადაცემები კი, სამწუხაროდ, ძალზედ მომრავლდა.

მაგალითისათვის, ავიღოთ “ჯეობარი” – უგემოვნო, უინტელექტო, გარყვნილების მქადაგებელი გადაცემა. მისი მიზანია დაამკვიდროს ცნობიერება, რომელიც ქადაგებს, რომ ყველაფერი უნდა იღონო და იყადრო – თუნდაც გარყვნილება, დაბეზღება, დაღლატი, სიცრუე და ცილისწამება – რათა მიზანს მიაღწიო. მიზანი კი ერთია – ფული. ფულს მიიღებს ყველაზე მზაკვარი, ყველაზე ფლიდი, მოღალატე და გარყვნილი. ასეთი გადაცემებით გვაჩვევენ აზრს, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს ჩვენი მომავლი თაობა, ჩვენი შვილები და შთამომავლობა. ღმერთმა ნუ ქნას - ეს იქნება ერის დაღუპვა.

ასევე დიდი ზიანის მომტანია ტელეეკრანებზე მომრავლებული, ერთი შეხედვით უწყინარი სერიალები. მათი საშუალებით ჩვენს ცნობიერებაში,


ჩვენს საზოგადოებაში მკვიდრდება ჩვენი ქვეყნისთვის უცხო ცხოვრების წესი, წესი, რომლისთვისაც ნორმალურია ახლო ნათესავებს - დეიდაშვილ-ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის სიყვარული, სიძვა-მრუშობა და ქორწინება, მმისთვის და მეგობრისთვის ცოლის წართმევა, ღალატი და სხვა უმსგავსობა. ამ ყოველივეს კი, ხშირად, ქრისტიანული ლექსიკის საბურველში გახვეულს გვთავაზობენ, რაც მრავალს აცდუნებს. სულ უფრო მრავლდება ტელეგადაცემები, რომელთა დანიშნულებაა, მოახდინონ ისეთი მომაკვდინებელი ცოდვების ლეგალიზება, როგორიცაა პროსტიტუცია, პომოსექსუალიზმი, ნარკომანია და სხვა ბოროტებანი; ცდილობენ, შეცვალონ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული და ქრისტიანული ზნეობით გამსჭვალული ჩვენი ცხოვრების წესი, ოჯახური ტრადიციები და ეროვნული ნიშან-თვისებები, დასცინიან ქალწულობას, უმწიკვლო სიყვარულს, უფროს-უმცროსობას, ზრდილობასა და ოჯახიშვილობას.

ყოველივე ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ ტელევიზიას არ შეუძლია სასარგებლო იყოს, კეთილისმყოფელი როლი შეასრულოს ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში. მაგრამ სინამდვილე ამის საპირისპიროს გვიჩვენებს: ტელესივრცის ინდუსტრია მათ ხელშია, ვინც ნებსით თუ უნებლივედ სწორედ იმას ემსახურება, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ამიტომ ყველა საშუალებით უნდა ვეცადოთ, დავიცვათ ჩვენი შვილები ტელეაგრესიისაგან, ტელევიზორის მონბისაგან, რათა დავიცვათ ჩვენი საზოგადოება, ერი და ქვეყანა გადაგვარებისაგან, უზნეობისაგან, ღმრთისმგმბელობისაგან, ყოველივე იმისაგან, რაც იღვრება დღეს ტელეეკრანებიდან, მომზადა ა. უნგიაძემ (იხ. religia.ge., შპკ გვერდი)



მართლებადიდებას მომართება



ვრცელდება უფასოდ
(სხვასაც წაკითხეთ)